ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის

საბა ბუაძის

2022 წლის საქმიანობის ანგარიში

მე-VII მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა 2021 წლის 3 დეკემბერს გაიმართა, რის შემდეგაც შევუდექი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. გასული თვეები მნიშვნელოვანი, დაძაბული და დატვირთული აღმოჩნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, ვინაიდან 2022 წლის განმავლობაში თბილისში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა.

გამომდინარე იქედან, რომ VII მოწვევის საკრებულოს წევრობა ჩემი პირველი არჩეული თანამდებობაა, მიმდინარე წელი მეტწილად დავუთმე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დაწესებულებების საქმიანობის შესწავლას. 2022 წელს ჩემ მიერ გაწეული საქმიანობა უფრო მეტად საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის გამოყენებას და მერიის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლს მოიცავდა.

რადგან 2022 წლის განმავლობაში მაღალი იყო ინფლაციის და სიღარიბის მაჩვენებლები, ჩვენი კრიტიკის ობიექტი გახდა თბილისის მერიის ის ინიციატივები, რომლებიც მუნიციპალური სერვისების გაძვირებასთან იყო დაკავშირებული.

მიმდინარე წლის განმავლობაში ხშირად ვსაუბრობდით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებულ კორუფციაზე და გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მოშლაზე. 2022 წლის მანძილზე საზოგადოებას ინტენსიურად ვაწვდიდით ინფორმაციას იმ საგანგაშო შემთხვევებზე, რომლებშიც თბილისის მერიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მიმდინარე წლის გამოცდილების გათვალისწინებით, 2023 წლიდან მნიშვნელოვანია როგორც საკრებულოს წევრმა მეტი ყურადღება დავუთმო ჩემს მიერ შემუშავებულ იმ ინიციატივებს, რომელთა განხორციელებაც თბილისში მნიშვნელოვნად მიმაჩნია. შესაბამისად, მიმდინარე წელს ჩემი საქმიანობა უფრო ნაკლებად მოიცავდა ინიციატივებსა და შეთავაზებებს.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე 15 საკრებულოს სხდომაში (სულ ჩატარდა 15 სხდომა), მივიღე მონაწილეობა 649 განკარგულების და 113 დადგენილების განხილვაში.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

როგორც ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისიის 10 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 215 საკითხის განხილვაში.

მათ შორის, შესწავლილი საკითხებია:

- ცვლილებები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში, რომელიც შეეხება გეგმარებითი დავალებების და განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცებას;
- ცვლილებები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში, რომელიც შეეხებოდა გენერალური გეგმით განსაზღვრული ფუნქციური ზონების ცვლილებას.
- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მიერ მინიჭებული პრეფერენციების განმსაზღვრელი საკრებულოს დადგენილებების პროექტების განხილვა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხები;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი სხვადასხვა უძრავი ქონების ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის იჯარის ფორმით გადაცემა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „ალმა“-ს შორის, გარე რეკლამის განთავსების ხელშეკრულების განხილვა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქუჩების და მოედნების სახელდებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

საანგარიშო პერიოდში, როგორც ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, დავესწარი 21 სხდომას და განვიხილე 235 საკითხი.

მათ შორის, შესწავლილი საკითხებია:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #4-7 დადგენილება;
- ქალაქ თბილსიის მუნიციპალიუტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილება;
- მიმდინარე და ახალი მუნიციპალუტი საბიუჯეტო პროგრამებით ბენეფიციარების სარგებლობის წესები;

ფრაქციის სხდომებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარემ, მონაწილეობა მივიღე 23 სხდომაში, სადაც განხილული იყო ფრაქციისთვის მნიშნველოვანი საკითხები: ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარება, მოქალაქეებთან შეხვედრების ორგანიზება, საკრებულოს სხდომის საკითხების ანალიზი და სხდომებისთვის მომზადება.

ფრაქციის გადაწყვეტილებით, 2022 წლის განმავლობაში ფრაქციის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიეთ ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების და მერიის საქვეუწყებო დაწესებულებების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მერიის თანამდებობის პირები ვალდებული არიან გამოცხადდნენ ფრაქციის სხდომაზე, ფრაქცია “ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის” სახელით ჩემს მიერ გაგზავნილი ყველა მოთხოვნა იგნორირებული იყო ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლების მიერ.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოში მივიღე თბილისის 127 მოქალაქე. განვიხილე მოქალაქეების 28 მომართვა და დავეხმარეთ 13 ადამიანს. ძირითადი პრობლემები იყო: სამედიცინო დახმარების მიღება, გამგეობასთან ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე შუამდგომლობა, იურდიული საკითხების გადაჭრა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკარო მოსახლეობის პროგრამაში მონაწილეობის მიღება.

მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე გავეცანი 4 სავარაუდო უკანონო მშენებლობას, სადაც სახეზე იყო სამშენებლო რეგულაციების დარღვევით წარმოებული სამუშაოები და არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან შეუსაბამო მშენებლობის ნებართვები. ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან კომუნიკაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ერთ-ერთი ასეთი მშენებლობის დროებით შეჩერება და სამშენებლო მოედნის დალუქვა.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში ინფორმაციის გამოთხოვის, გზების, ავარიული სახლების, დაზიანებული გასართობი ინფრასტრუქტურის და მსგავსი ობიექტების რაბილიტაციაზე შუამდგომლობის და სხვა მიზნებით გავაგზავნე 148 წერილი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების მხრიდან უპასუხოდ დარჩა.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- შესწავლილი სხდომის მასალებიდან გამომდინარე, გამოძიების დაწყების მოთხოვნით ორჯერ მივმართე საქართველოს მთავარ პროკურატურას. აღნიშნული შემთხვევები შეეხებოდა სავარაუდო კორუფციას, რომელიც გამოიკვეთა მუნიციპალური ქონების მონაცვლეობის პროცესში.
- მქონდა 43 გასვლა თბილისის უბნებში, სადაც შევხვდი მოსახლეობას, მოვისმინეთ მათი პრობლემები, გავუწიეთ შესაბამისი კონსულტაცია და იურიდიული დახმარება.
- ვიზიტი თბილისის ცხოველთა თავშესაფარში, სადაც გამოიკვეთა დაწესებულებაში არსებული სერიოზული პრობლემები. უშუალოდ მივიღე მონაწილეობა ცხოველთა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თბილისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შეხვედრების ორგანიზებაში.
- ვიმყოფებოდი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის #2 ავტობაზაზე, სადაც ადგილზე გავეცანი ავტობაზაზე არსებულ ვითარებას, ავტობუსების მდგომარეობას და მოვისმინე დასაქმებული პერსონალის საჭიროებები და პრობლემები.
- ვიმყოფებოდი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, სადაც საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გავმართე წყალმომარაგების დეპარტამენტის წარმომადგენელთან.
- ვიზიტი ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში მდებარე უფასო სასადილეობში (ბარნოვის ქუჩაზე და წავკისში). გავეცანი სასადილოებში არსებულ ვითარებას,

საკვების გაცემის პროცესს და მის ხარისხს. მოვისმინე სასადილოების ბენეფიციარების საჭიროებები და პრობლემები.

- გავეცანი მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.
- გავეცანი თბილისში მიმდინარე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას - მელიქიშვილის ქუჩა, ქეთევან წამებულის ქუჩა, ბაგების ხიდი, მეტროსადგური გოცირიძე და ა.შ.

სხვა სახის ინფორმაცია

მიმდინარე წლის განმავლობაში სისტემატიურად ვასაჯაროვებდი იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან.

მიუხედავად იმისა, რომ რეაგირების გარეშე დარჩა სოფელ კიკეთში მიმდინარე საეჭვო მშენებლობასთან დაკავშირებით ჩემი შეთავაზება, ამ აქტიურობის შედეგად, მოხდა კიკეთში არსებული ათასობით კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთებისათვის სატყეო ზონის სტატუსის მინიჭება.

ფრაქცია “ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის” თავმჯდომარე

საბა გუაძე